ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 28

ქ.თბილისი 21 აგვისტო 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის თინათინ ალავიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მიხეილ ვაშაკიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია ორტაქტიანი ზეთი (შემდეგში „საქონელი“). (CPVკოდი: 09200000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ. რაოდენობა - 4 ლიტრი, ერთეულის ღირებულება - 7,00 ლარი.

2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. შესასყიდი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 28,00 (ოცდარვა) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1.1. ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

3.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

3.2.1. მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და ჯეროვნად შესრულება, კერძოდ:

- შემსყიდველს მოსთხოვოს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

3.2.2. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შემსყიდველისაგან მოითხოვოს საქონლის ღირებულების დროულად გადახდა.

3.3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

3.3.1 მოითხოვოს მიმწოდებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა, კერძოდ:

- მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საქონლის დროულად და ხარისხიანად მოწოდება.
- ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

3.4. შემსყიდველი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს საქონლის ღირებულება.

4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სათანადო საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიწოდების მიღების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია - ქ. თბილისი, შეშელიძის ქ. N106 - ის მოპირდაპირედ.

5.2.ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს მიმწოდებელმა

ხელშეკრულებაზე მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მარინა კუხალაშვილი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე საქონლის ხარისხის შემოწმებას.

7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

10.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

12. სხვა პირობები

12.1.ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა ს/კ 200087191	შპს „თეგეტა მოტორსი“ ს/კ 202177205
მის. : ქ. თბილისი, მუხიანი მე-3 მკრ	მის: ქ. თბილისი აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ
ტელ: 264 53 07	ტელეფონი: 2264444
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი:TBCBGE22 ა/ა GE94TB7230734020100001	საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“ ბანიკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE80TB0600000024467853
დირექტორი	სახელმწიფო ორგანიზაციებთან ურთიერთბის განყოფილების უფროსი
თინათინ ალავიძე	მიხეილ ვაშაკიძე

Tegeta Motors LLC
2019.08.23
18:14:40 +04'00'